სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს " დირექტორის „სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს " მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვის კომისიის შექმნის შესახებ" 2020 წლის 3 თებერვლის № 02-09/13 ბრძანების თანახმად შექმნილი კომისიის

სხდომის ოქმი № 04

20/02/2020

ქ. ბათუმი

სხდომა გაიხსნა: 16:15 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
1.ლევან ჯაყელი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ,ასოცირებული პროფესორი;

2. ირინე ცინცაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მასობრივი კომუნიკაციების მიმართულებით ასისტენტ პროფესორი;

3. ნანა მაკარაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის მენეჯერი, ასოცირებული პროფესორი;

4. ნინო უტიაშვილი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი (სხდომის მდივანი).

დღის წესრიგი:
საკითხი #1. ევექსის საჩივრის თაობაზე მტკიცებულებების შეჯერება, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

სხდომა გაიხსნა და კომისიის წევრებმა შეგროვებულ ინფორმაციასა და მტკიცებულებების საფუძველზე გამოთქვეს მოსაზრებები:

ირინე ცინცაძე: ჩემი მოსაზრებით, სს „ევექსის კლინიკებთან" კომუნიკაციის დასამყარებლად და საპასუხო კომენტარის მოსაპოვებლად, ჟურნალისტის მიერ არ განხორციელდა სათანადო მცდელობა. თუ ზარებზე არ პასუხობდნენ, ისევე, როგორც სხვა კლინიკაში, შეეძლო ქ. ბათუმში მდებარე ევექსის კლინიკაშიც მისვლა და უფლებამოსილ პირთან შეხვედრა. თუ კლინიკაში არ შეუშვებდნენ, ეს შეიძლება მიჩნეულიყო ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლად და ჩემი ვარაუდით, ამ ფაქტის ასახვაც მოხდებოდა სიუჟეტში. მხოლოდ ზარის განხორციელება არ ადასტურებს იმას, რომ რაიმე საკითხზე მოხდა შეთანხმება. მით უფრო, როგორც აღმოჩნდა, ზარი იყო უშედეგო. ჯენი კვანტალიანის პროფესიონალიზმში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ყველა ღონე უნდა იქნეს გამოყენებული რომ მოხდეს მხარეებთან დაკავშირება და სიუჟეტში ბალანსის დაცვა, ყველა მხარის პოზიციების გაშუქება.

კომისიის წევრები, მეტი ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, შეთანხმდნენ საკონტროლო ზარი განეხორციელებინა სს „ევექსების კლინიკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსს

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიო
245675880
მეამოსული №02-26/587
N "26" 02 2020

სპეციალისტთან თათია ხორბალაძესთან, იმ მიზნით, რომ დაედგინათ, რამდენად სტაბილურად პასუხობს ზარს (წინა კომისიის სხდომაზე ზარი განახორციელა და თათია ხორბალაძეს ესაუბრა კომისიის თავმჯდომარე). ამჯერად ირინე ცინცაძემ განახორციელა ზარი საკუთარი ტელეფონით. თათია ხორბალაძემ სატელეფონო ზარს პირველივე მცდელობაზე უპასუხა. კომისიის წევრმა არ გაუმხილა საკუთარი ვინაობა და სთხოვა, რომ მიეცათ მისთვის ბათუმში ევექსის კლინიკის საკონტაქტო ინფორმაცია. თათია ხორბალაძემ განუცხადა, რომ ბათუმში ევექსს ჰქონდა პოლიკნიკა და არა კლინიკა, ასევე უთხრა პოლიკლინიკის მისამართი და ევექსის კლინიკების ცხელი ხაზის ნომერი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ერთხმად გადაწყვიტეს, რომ განეხორციელებინათ საკონტროლო ზარი გიორგი ნიორაძესთან, იმ პირთან, რომელსაც ჯენი კვანტალიანი მისივე განცხადებით უკავშირდებოდა.

ზარი განახორციელა საკუთარი ტელეფონით კომისიის წევრმა ნანა მაკარაძემ. გიორგი ნიორაძემ ზარს უპასუხა პირველივე მცდელობაზე და დაადასტურა საკუთარი ვინაობა. ნანა მაკარაძემ წარუდგინა თავი როგორც კომისიის წევრი და სთხოვა რამდენიმე შეკითხვაზე პასუხის გაცემა. გიორგი ნიორაძემ განუცხადა, რომ შეხვედრაზე იყო და დაერეკა ნახევარ საათში, თუმცა ნანა მაკარაძის განმეორებითი თხოვნის შემდგომ დათანხმდა მოკლედ ეპასუხა შეკითხვებზე. ნანა მაკარაძის შეკითხვაზე, ჟურნალისტები სიუჟეტის მომზადების თაობაზე მხოლოდ მას უკავშირდებოდნენ თუ არა, გიორგი ნიორაძემ უპასუხა, რომ ჟურნალისტები უკავშირდებოდნენ მასაც და სხვა თანამშრომლებსაც. გიორგი ნიორაძემ ვერ გაიხსენა 27 იანვარს მას დაუკავშირდა თუ არა ვინმე აჭარის ტელევიზიიდან, ასევე განაცხადა, რომ თუ ნომერი ჩაწერილი არ ჰქონდა შეიძლება არ გადაერეკა იმ ნომერზე რომლითაც მას დაუკავშირდნენ. თუმცა დამატებით განმარტა, რომ თანამშრომლობს ტელევიზიებთან და ხელს უწყობს ჟურნალისტებს საქმიანობის განხორციელებაში. ნანა მაკარაძის შეკითხვაზე, უკავშირდებოდნენ თუ არა სიუჟეტის მომზადებასთან დაკავშირებით აჭარის ტელევიზიიდან და ეცნობოდა თუ არა ჯენი კვანტალიანის სახელი და გვარი, გიორგი ნიორაძემ უპასუხა, რომ აჭარის ტელევიზიაში თანამშრომლობდა ირაკლი ფიფიასთან და ნათია ზოიძესთან, ხოლო სახელი ჯენი არ ეცნობოდა, ასევე, განაცხადა, რომ ჯენი იმდენად იშვიათი სახელია აუცილებლად დაამახსოვრდებოდა. გიორგი ნიორაძემ საუბრის დასასრულს უკმაყოფილოდ განაცხადა, რომ იმაზე მეტი დრო წაართვა კომისიის წევრთან საუბარმა ვიდრე მან ითხოვა, რომ შეხვედრიდან გამოვიდა მასთან სასაუბროდ და მეტ დროს ვერ დაუთმობდა.

ნანა მაკარაძემ საუბრის დასრულებისას განაცხადა, რომ გიორგი ნიორაძე არ იყო კეთილგანწყობილი მასთან საუბრისას და ნამდვილად შესაძლებელია, რომ ჯენისთვის (როგორც თავად განმარტავს) ეთქვა რომ შეხვედრაზეა და საუბრისათვის თავი აერიდებინა. კომისიის წევრმა ასევე განმარტა, რომ თუ ჟურნალისტმა კონკრეტულ პირთან ვერ დაამყარა სატელეფონო კომუნიკაცია ერთი მცდელობით, განმეორებით კიდევ უნდა დაერეკა, მითუმეტეს, თუ უთხრა, რომ შეხვედრაზე იყო და არ შეეძლო საუბარი.

კომისიის წევრები შეთანხმდნენ განმეორებით ენახათ სადაო სიუჟეტი.

კომისიამ წარმოდგენილი მტკიცებულებების და გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. ჯენი კვანტალიანის მიერ 2020 წლის 27 იანვარს სადაო სიუჟეტის ეთერში განთავსებამდე ზარი განხორციელდა გიორგი ნიორაძესთან;
2. ჯენი კვანტალიანსა და გიორგი ნიორაძეს შორის შედგა გაურკვეველი შინაარსის სატელეფონო საუბარი;
3. ჟურნალისტის მიერ სიუჟეტში მითითება რომ „ადრესატ კომპანიაში დღეს მთავარის სატელეფონო ზარებს არ უპასუხეს" არ შეესაბამება სინამდვილეს;
4. ჯენი კვანტალიანი და გადაცემის რედაქტორი მაია მერკვილაძე არ ფლობდნენ ინფორმაციას სს „ევექსის კლინიკების" საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსი სპეციალისტის ვინაობის შესახებ;
5. სს „ევექსის კლინიკების" საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსი სპეციალისტი კომისიის წევრების სატელეფონო ზარებს პასუხობს;
6. მაია მერკვილაძის მიერ განხორციელდა ზარი იმ პირებთან, რომლებიც არ არიან პასუხისმგებლები სს „ევექსის" სახელით ინფორმაციის გაცემაზე;
7. ჯენი კვანტალიანის მიერ მომზადებული სიუჟეტის მიზანი იყო მთავრობის დადგენილების საზოგადოების გაცნობა.
8. სადაო სიუჟეტის მიზნიდან გამომდინარე ჯენი კვანტალიანს არ ჰქონდა ვალდებულება სს „ევექსების კლინიკებისათვის" ეთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
9. სიუჟეტში არა პოზიტიურ კონტექსტში გაჟღერდა სს „ევექსი-ს" სახელი;
10. სიუჟეტში ასახულია მხოლოდ იმ პირთა მოსაზრებები, რომლებიც უკმაყოფილო არიან მთავრობის დადგენილებით.

წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ნანა მაკარაძემ განმარტა, რომ ვინაიდან სიუჟეტის მომზადების შემდგომ გაჩნდა ევექსის პოზიციის დაფიქსირების აუცილებლობა, ჟურნალისტს მეტი ძალისხმევა უნდა გამოეჩინა ევექსის კლინიკების კომენტარის მოსაპოვებლად, ან სიუჟეტიდან უნდა ამოეღო ის ნაწილი, სადაც რესპოდენტი საუბრობს ევექსთან მიმართებაში.

სხდომის მდივანმა ნინო უტიაშვილმა კომისიის წევრებს შესთავაზა, დაერეკათ ევექსის კლინიკების ცხელ ხაზზე და გადაემოწმებინათ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან წვდომის შესაძლებლობა. კომისიის ყველა წევრის თანხმობით, ნინო უტიაშვილმა საკუთარი ტელეფონით განახორციელა ზარი სს „ევექსის" ცხელ ხაზზე და მოითხოვა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლის საკონტაქტო ინფორმაცია, თუმცა ცხელი ხაზის ოპერატორისგან უარი მიიღო საკონტაქტო ინფორმაციის გაცემაზე თუ არ ეცოდინებოდა დაკავშირების მიზანი, ნინო უტიაშვილმა სთხოვა განემარტა თუ რატომ არ შეეძლო რიგით მოქალაქეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან დაკავშირება, ოპერატორმა ინფორმაციის გადამოწმების შემდგომ შესთავაზა ელ. ფოსტაზე მიწერა და ვერ დააკონკრეტა რამდენ ხანში მიიღებდა პასუხს მოქალაქე. თუმცა მას შემდეგ, რაც ნინო უტიაშვილმა ოპერატორს უთხრა, რომ სიუჟეტისთვის აგროვებდა ინფორმაციას და მოკლე დროში სჭირდებოდა პასუხების მიღება, ოპერატორმა ინფორმაციის გადამოწმების შემდგომ ჩააწერინა შესაბამისი ნომერი.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მართალია ჟურნალისტის სიუჟეტის მიზანი იყო მთავრობის დადგენილების გაცნობა საზოგადოებისათვის და არა ამ დადგენილების საფუძველზე განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩენილი პოლიკლინიკების/კლინიკების

პოზიციების გაშუქება, თუმცა, ვინაიდან სიუჟეტში გაჩნდა უკვე კონკურენტ კომპანიაზე რესპოდენტის მოსაზრება, სუბიექტური შეფასებები და განცხადებები, უკვე სიუჟეტის შინაარსმა მოითხოვა, რომ მეორე მხარის - ევექსის კლინიკების საპასუხო პოზიციაც წარმოჩენილიყო. ის, რომ ჟურნალისტის მხრიდან არ იყო საკმარისი მცდელობა დაკავშირებოდა ევექსის კლინიკების წარმომადგენელს, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 2 დღის განმავლობაში კომისიის წევრების მიერ განხორციელებულ საკონტროლო ზარებს ევექსის კლინიკის თანამშრომლები პირველივე მცდელობაზე პასუხობდნენ.

ღია კენჭისყრის გზით კომისიამ
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინა:

1. 2020 წლის 27 იანვარს პირველადი ჯანდაცვის საკითხთან დაკავშირებით გადაცემა „მთავარში" გასულ სიუჟეტში დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი. კერძოდ, სიუჟეტის მომზადებისას არ იქნა მიღებული ყველა გონივრული ზომა გადაცემული ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.
2. მხარეებისთვის გადაწყვეტილების გაცნობა დაუყოვნებლივ განახორციელოს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზია და რადიოს" იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსმა, კომისიის მდივანმა ნინო უტიაშვილმა.
3. კომისიის მასალების შენახვაზე, გასაჯაროებაზე და გამოყენებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზია და რადიოს" იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსს, კომისიის მდივანს ნინო უტიაშვილს.

დანართები:

1. ირინე ცინცაძის მიერ თათია ხორბალაძის ტელეფონზე განხორციელებული ზარის დამდასტურებელი ე.წ. „სქრინშოთი" – 1 ფ.;
2. ნანა მაკარაძის მიერ გიორგი ნიორაძის ტელეფონზე განხორციელებული ზარის დამდასტურებელი ე.წ. „სქრინშოთი" – 1 ფ.;
3. ნინო უტიაშვილის მიერ სს „ევექსის" ცხელი ხაზის ტელეფონზე განხორციელებული ზარის დამდასტურებელი ე.წ. „სქრინშოთი" – 1 ფ.;

სხდომა დაიხურა: 18.10 საათზე

ხელმოწერები:

ლევან ჯაყელი _____
ირინე ცინცაძე _____
ნანა მაკარაძე _____
ნინო უტიაშვილი _____